„სარკისმილმეტი და რა იხილა იქ ელისმა“, სათარგმნელად. შევთამაშე მეტეი, იმიტომ ვამბობ, რომ იმ დროს მხოლოდ ბედნიერ ოცხებებში თუ ნარმოვიდგენდი ბერძისის კრებულისთვის საკმარისი მასალის თარგმნასა და მით უფრო, გამოცემას, ვინაიდან მანამდე ვერსიფიკირის ჩემი გამოცდილება მხოლოდ ეკრალის ტექსტში განხევლი ლექსების თარგმნა იყო, რომლებიც უმეტესად პაროდიული ან ნონსენსის ხასიათისაა — ორიოდე ლირიკულ ლექსს თუ არ მივიღებთ მხედველობაში — და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გონიერამახვილური და ორიგინალურია, პოეზიის მნიშვნელობებს არ განეკუთვნება. მათი თარგმნა უფრო კვალიფიციურ, გარკვეულწილად, ტექნიკურ მიდგომას ითხოვდა, სპეციფიკურ სამუშაოს ნარ-



რობერტ
ბერნი



ლექსები და
სიმღერები

მოადგენდა და არ საჭიროებდა იმგვარ ინსპირაციას, რომელიც აუცილებელი ისეთი მხატვრული ნიმუშების სათარგმნელად, როგორებიც ბერნსთან გვხვდება თქვენ ალბათ გაგიჩირდებათ ბევრი ისეთ ქართველის მოძიება, რომელებსაც ლექს ცხოვრებაში არ დაუსწერია. აი, მე ვარ ერთ ერთი მათგანი. თუმცა იმდენად მიყარდ ბერნსი, ისე მაღლელვებდა, რომ გავპედე და კეროლის მირითმვ-მორითმვებით შეგულიანებული ბერნსა მივადექი. ვსინჯვე მეთარგმნა ლექსი — „ჩემს უკანონი შევის“, რომელიც თავის პირშოს, ელიზ აპეთს მიუძღვნა, ოჯახის მოახლის მიერ გაჩერილს (ნავთს ამ შემთხვევაში მამობრივი სენტიმენტულიც მიმატებდა). ასა დავიწყე. რაღაც-რაღაცებს თავი მოვაბირა რაღაცებს ვერ მოვერიე, გზადაგზა „ჩემნები მწერლობაში“ ვაქევეყნებდი, რომელიც იდროს გაზეთი იყო და როსტომ ჩეკიძის რედაქტორობით გამოიდიოდა. ასე, ნელნელა შეგროვდა აბ კრებულის გამოსაცემად საკმარისი მასალა, თუმცა, გამოქვეყნებას არ ვჩერაობდი, იმედი შექნდა, რომ კიდევ დავგამატებდი. თუმცა საპოლონდებული დღეს მეტი ვერ დავამატე. ამა სობაში კერლოის „სარკისმილმეთის თარგმნის მადა ხელახლა გამეღვიძა და კიდევ რამდენიმდე ნელი ამან წაიღო. თუმცა ამ დაყოვნებამ კარგი ის მოიტანა, რომ მრავალი წლის შემდეგ სრულიად ახალი თვალით გადავხედებ ბერნსის თარგმანები და ბევრი რამ ჩავასწორე და გავმართე ერთი რამ აღმოვაჩინე ჩემდა სასიხარულოდ, რომ ბერნსის პოზიამ ოდნავადა არ დაკარგა მომხილველობა ჩემთვის და ხელახლა ამანთ.

სეტულ, მზა ფორმებსა თუ სიუჟეტებს იყენებენ და ამას ისეთი დამაჯერებლობით აკეთებენ, რომ თავისიად გაიხდიან ხოლმე ასე მოხდა ძერნისის შემთხვევაშიც. შოტლანდიურ პოეზიაში მანამდე უკვე არსებობდა ერთობ ორიგინალური, შეიძლება ითქვას, უნიკალური სალექსო ფორმი „სტანდარტული ჰაბი“, რომელიც პირველად მეტვიდმეტე საუკუნის პოეტმა, ეიდუ ერთმა რობერტმა, გვარად სემპილმა გაოყენა თავის ლექსში „კილბარხანელ მესტვირე ჰაბი სიმპსონის ცხოვრება და სიკვდილი“ და სახელიც ამის მიხედვით შეერქვა. ალან რამზი და რობერტ ფერგულსონიც წარმატებით იყენებდნენ ფორმას, მაგრამ შემდეგ მოვიდა ძერნისა და დაახლოებით ორმოცდაათი ისეთი ლექს შექმნა, „სტანდარტული ჰაბის“ გამოყენებით, რომ მის შემდეგ ამ სალექსო ფორმას თითქოს ბუნებრივად შეეცვალა სახლი და „ძერნისის სტროფად“ მოინათლა ჩემს კრებულში ასეთი ოთხი ძალიან მნიშვნელოვანი ლექსია შესული, რომლებიც პოეტმა თავის შვილ ელიზაბეტს, მეგობარ ჯეიმზ სმითს, ძებერ ფაშატ მეგისა და საკვარელ ცხვარ მეილის მიუძღვნა.

— თქვენ ნერთ, პოეზია უმაღლო შრომაა, პოეზიაში დედანთან მიახლოებით თითქმის გამორიცხულიათ. მე კი გენდობით, როგორც მთარგმნელს და ამ სიტყვების მიუხედავად, დარწმუნებულ ვარ, რომ ვკითხულობ ბერნსს და არ მხოლოდ გოკიერს.

— დიახ, უმადლო შრომაა-მეთქი რო

ვამბონ, პირველ რიგში შედეგს ვგულისხმობ, თორემ თვითონ პროცესი წარმტაცდად და დიდი სიხარულის მომნიჭებელია. ამაგალითად, მე, რომელსაც საკუთარი პორტური იდეები არ გამარინა, საშუალების ქართული და საქართველოს მთავრობის მიერ მიმდევარი გადასახლები იყო.

მეძლევა, თავი პოეტად ვიგრძნო. შეგუებ
ბული ვარ, რომ გამორიცხულია, ჩემი
ენაზე შევქმნა ბერნისის დედნის კონგრესის
ნიალური მხატვრული ტექსტი. ამაზე იც
ნებაც არ ღირს. ვიცი, რომ ჩემი ტექსტი
კვალიფიციური და გამართულია, თი
თოვეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ და ძალია
მიხარია, რომ თქვენ, მაგალითად
გარკვეული დადგებითი შთაბეჭდილება
შეგებმნათ ამ პოეტზე თარგმანების მეტ
ვეობით. ჩემი ამოცანაც სწორედ ეს იყო
რომ ყურადღება მიმექცევინებინა, ინტერ
ესი გამეღვიძებინა ამ უზარმაზარი ტალა
ტის მიმართ. ისიც ვიცი, ყოველგვარ
თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ დედ
ნის სიკაშკაშესთან შედარებით, თარგმან
სუსტი ბჟუჟტვაა, მაგრამ იმ შემთხვევაში
თუ გააჩინს ოდნავ წარმოდგენასაც კა
რამდენად კაშკაშა ვარსკვლავთან გვაქვდა
საქმე, თარგმანზე დახარჯულ დროსა და
ენერგიის გამართლება ექნება.

— იაკინები, ვაიმუშიძლი დღეგურებას
წიგნი იმაზე, თუ როგორ ითარგმნებოდ
„ელისი“. მაშინ მითხარით: „ასეთი სახი
წიგნი — არა ზოგადი საუბარი თარგმა-
ნის თეორიაზე, არა მეტა კონკრეტულ
გამოცდილების გადმოცემა — შეიძლება
ვიღაცისთვის საინტერესოც იყოს
თუმცა, ამაზე მაშინ ვიფიქრებ, როცა
„ელისი“ ახლიდან მომენატრება“. ა
მოგანატრათ?

— არა, „ელისის“ მონატრება ჯერ ვე
მოვასწარი და გეტყვით რატომაც. ჯე
ერთი, გასული წლის ოქტომბერში ვიყავ
ნიუ-იორკში, ქართული წიგნის ეროვნულ
ცენტრის დახმარებით იქ გაიმართა „ელი
სის თავვადასავლის“ გამოსვლის ას ორ
მოცდაათ წლისთავთან დაკავშირებულ
დიდი საიტებილეო მთარგმნელობითი კონკ

ნინო საღლობელაშვილი
სიხარულის
სევდა,
ანუ საგა
ნაცხობ
საქართველოზე

ଫାର୍ମଲ୍

შეემთხვა, სააკაძის მოედანზე ძირფესვი-
ანად რომ ამოთხარა ვარდები და ასე, და-
გლეჯილი, ფოთლებგაცვენილი და ნახ-
ევრად ტალახიანი ფესვებით, დაუწყო
გოგოს სახლის კართან. ეს დღე ბიჭის ცხ-
ოვრებაში სამუდამო ტვიფარით აღიძეჭ-
და. ძირებიანად დათხრილი მოედნის
ვარდები კი ისევ იმ დიდი სიყვარულის სამ-
სხვერპლოსთვის შენირულ სიმბოლოდ
იქცა, რომელიც მთელ წიგნს გასდეს კარ-
დიოგრამასავით.

რომანში ბევრგანაა გამოყენებული სიტყვა „საშინელი“: „საშინლად დამაზი“, „საშინელი და დიდებული“, „საშინელი სიყვარული“ და ასე შემდეგ — ერთმანეთთან პარადოქსული განსაზღვრებები კავშირდება. ეს კი ორივეს მატებს ექსპრესიას და საპოლოოდ, ტექსტს რაღაც შორეული „მეტაცეცხლით“ აღავზინებს, სახარების, ბიძლიური ენის დამუხტული ატმოსფერო შემოაქვს, როცა ენაც მზადაა რაღაც იდუმალი და შეუცნობელი გადმოსცეს, განმარტოს, როცა ყოველივე ისარივით მოზიდული და დაჭიმულია დიდი აქტის — სიტყვის გაცხადების წინ. ბექა ქურჩულის რომანში, ეს სიტყვა „საშინელი“ იმიტომაცაა ასე საინტერესო, რომ ერთი შეხედვით ამ ღვთაებრივი და მისტიკური არსისა გან სრულიად დაცლილ, პირიქით, ღია ჭრილობასავით ცხად, შემზარავად შიშველ ენობრივ ქსვილში, ის თავდაპირველი ძარღვი ფეხქავს, ის ძველისძველი სისხლი იძვრის, რომლითაც ადამიანს საშინელი რამეები სიყვარულის სახელით ეცხადებოდა.

ნერილის დასაწყისში რომ დიდი წიგნი ვახსენი, ამ სიღიღეზე კიდევ ვიტყვი, რომ მის პომპეულ გაგებას თავადვე ეწინააღმდეგა. ანრიის აღმოჩენა მოვალე რომელი

డేగ్గారా, ఆశ్రమ్యుస వ్యక్తిగతి తమిల్లి రామానుజు గాంధిజిల్లాపాఠి, కెర్నుండ్రాజ్యుద్ధిసి సాక్షిప్రాణ- యిదిసి నుండినించి, గ్రంథాశ్వసిత, దుంగజ్యేర బ్యోలాండ్రెపిట, ఊమిలాంర్మండిట, భోగజ్యోశ్చుల్ల- గ్రంిల్లండ్రెపిట డా జీశ్వర్భింబ్యుఫిల్డింగపిట, ఇస, తాగ్విసి గమిర్హెపిట, త్వితించ్చా యువ్వెల్లివ్వె ప్యాల్పిసిసా డా గాథ్వింఫెద్చుల్లాసి మంసిసెంచ్చె మత్తీర్ణి, రాఘవాని, అర్చ అరాఫ్యూరమి స్కిర్టిండ్రెపా రామిల్జె గాంధ్యువిండ్రెపా. అంబాగ్విండ్రు డా సాత్యమ్ప్రాణ- యిప్పి త్వితించ్చా తాగ్విసి తాగ్వశిర్ రాల్చాప్ డాల్చాం తమిల్లి కీర్తనిపి అంగిలి శెంక్వార్తాపి మించుండ్రెపా

დიდი აზრის, იდეის, ძიხარსის ძატარებელი.

ვისურვებ, რომ რაც შეიძლება მალე
ითარგმნოს სხვადასხვა ენაზე და
„სამოთხიდან გაქცეულები“ ბევრმა უცხ-
ოენოვანმა მკითხველმა წაიკითხოს; ვი-
სურვებ, რომ კინო დაინტერესდეს მისით
და, ეკრანზეც შეიქმნას მხატვრული საგა-
ათასწლეულების გასაყარის საქართველო-
სი და კავკასიისა; ვისურვებ, რომ მომავალ-
მა თაობამ ხშირად იკითხოს ასეთი წიგნე-
ბი, ისინი ყოველთვის იქნებიან მათი თან-
ამედროვე, ისევე როგორც წინას და მათ
შემდეგ მომავალი თაობების თანამედრო-
ვეობაა მათი ბუნებრივი მდგომარეობა.
ასეთი წიგნები, თუკი სიტყვას ჯერ კიდევ
შერჩა მაგიური ძალა — მოახდინოს კარგი
საქმეები — ადამიანების გულს ათავისუ-
ფლებენ ნარსულის ჩამჭერაში ტკივილებ-

ისგან, ცოტა ხნით აპრუნებენ უკან, მომავალში, რათა შეცდნენ შიშისგან დაკარგულ საკუთარ აჩრდილებს, თვალი გაუსწორონ, ეს ნიშნავს — დაინახონ, დაფიქტდნენ, შეაფასონ.

ამგვარი აქტის მერე მოდის აუხსნელი სიხარული. ამ სიხარულისთვის შეიქმნა ალბათ მწერლობაც. და იქნებ, სამყაროც. ჩვენ ყველას ძალიან გვაკლია ეს სიხარული — ის იმ ბიჭებმა და გოგოებმა ჩაიყოლეს არყოფნაში, ვინც ვერ გაუძლო, იმ ომებიდან ვერ გამოაღწია, ვერც იმ სიყვარულიდან და მშვიდობიდან გამოაღწია, ვერც იმ უკუნითს აგადაუჩაბა...

„სამოთხიდან გაქცეულები“ ამ აუხსნელი სიხარულისთვის დაინტერა — პო. საბოლოო სიხარულისთვის...

უგედურების განცდით გახევებულ-
მა გაიღიძია. გაუნდრევლად იწვა, სიბენე-
ლეში თვალებს ახამხამებდა, თითქოს
ობობას ქსელში გახევეულიყო და
მრავალთვალიანი ბანჯგვლიანი მწერი
საცაა შთანთქავდა. თავს ძალა დაატანა
და ხელი ტუმბოსკენ გაიწოდა, სადაც რე-
ვოლევერი და დატენილი ავტომატი იღო.
იარაღის ნაცვლად მაღვიძარას ნამოედო:
ოთხს თხუთმეტი წუთი აკლდა. ამ-
ოისუნთქა. ახლა კი ნამდვილად ბოლომ-
დე გამოფხილდა. ისევ კოშმარები? ჯერ
კიდევ რამდენიმე წუთი რჩებოდა. სიზუს-
ტის მანიაკალური ჩვევით შეპყრობილი,
ოთხ საათზე ადრე არ დგებოდა. არც
ერთი წუთით ადრე და არც ერთი წუთით
გვიან.

„დისციპლინას ვუმაღლო ყველაფერს, რაც ვარ“, გაუელვა გონებაში. დისციპლინა — მისი ცხოვრების ღერძი — marines დამსახურება იყო. თვალები დახუჭა. სან პედრო დე მაკორისში, ოკუპაციის მესამე წელს, იანგებმა დომინიკის რესპუბლიკის პოლიციაში ჩასარიცხად ურთულესი გამოცდები ჩაატარეს. მან დიდი ძალის ხმევის გარეშე ჩააბარა. წვრთნის დროს ასპირანტების ნახევარზე მეტი გარეთ დარჩა. ის კი ტკბებოდა ნებისმიერი დავალებით, რომელიც სიმარჯვეს, სიმამაცეს, თავგანწირვას ან გამძლეობას ეხებოდა. ყველაზე ველური წვრთნაც კი მოსწონდა, ისეთები, ნებისყოფისა და უფროსისადმი მორჩილების გამოსაცდელად რომ ატარებდნენ: ჯგუფთან ერთად ლაფში ჩაყურყუშელავება, მთაში საკუთარი შარდის სმით თავის გადარჩენა, რტოების, ბალახის, კალიების დაღეჭვა. სერუანტმა გიტლემანმა ყველაზე მაღალი შეფასება მისცა: „შენ ბევრს მიაღწევ, ტრუხილიო“. დაბ, ნამდვილად ბევრს მიაღწია გმირებისა და მისტიკოსების იმ დაუნდობელი დისციპლინის წყალობით, marines რომ ასწავლა. სერუანტი საიმონ გიტლემანი მადლიერებით გაიხსენა — ერთგული და უანგარო გრინგო აპეზარების, ვამპირებისა და ბრივების ქვეყანაში. ჰყოლია კი ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს ტრუხილიოზე ერთგული მეგობარი? რომელი ქვეყნის ხელისუფლებამ დაუჭირა მხარი მასავით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში? ვინ გამოუჩხადა პირველმა ომი გერ-

ნიზაციის მიერ ნამონებული კამპანიი შეურაცხყოფილმა, არიზონაში თავის სკემიანობა მიატოვა და ამერიკული პრ სა წერილებით დაბომბდა. ამერიკელები შეახსენა, რომ ტრუხებილიოს ეპოქაში და მინიკის რესპუბლიკა ანტიკომუნისტურ მოძრაობის ბასტიონი და ამერიკულებული შტატების საუკეთესო მოკავშირე იყო დასავლეთ ნახევარსფეროში. ეს არ იქმარა — თავისი ჯიბით, ამი დედა ვატირე! — დახმარების კომიტეტი დააფუძნა, წერილები გამოაქვეყნა, კო ფერენციები ჩაატარა. მეტიც, სხვები სთვის მაგალითის მისაცემად, ქალა ტრუხებილიოში ჩამოვიდა ოჯახთან ერთა და მალეკონზე სახლი დაიქირვა. ნაშე დღვეს საიმონი და დოროთი სასახლეზე მასთან ერთად ისადილებენ და ყოფილ marine დომინიკის რესპუბლიკის ყველაზე მაღალ ჯილდოს, ხუნ პაბლო დუარტე საპატიო ორდენს მიიღებს. ნამდვილი მarine, დიაბ, სენიორ!

ში. ფანჯრიდან ხეების კენწეროებას და ვარსკვლავებით მოქარგული ცის ნაგლა ჯეს ხედავდა. ღამის სიჩუმეში დროდადრო ღამისმთვლების ხმა აღწევდა, ხუან და დოის პესას, ამადო ნერვოს, რუბენ დარტოს (ამან აფიქრებიხა, რომ მათ შორი მოარული მნიკვლიყ იყო — მან ზეპირა იცოდა რუბენ დარიო), პაბლო ნერულა „სიყვარულის ოც ლექსასა“ და ხუან ანტონიო ალიქსის საარშიყო სტროფებს კითხულობდნენ. რაღა თქმა უნდა, დონია მარიას, მწერლისა და მორალისტის ლექსეებსაც წარმოთქამდნენ. სტატიკურ ველო სიპედზე სავარჯიშოდ რომ ჯდებოდა, საც ცილი აუტყდა. მისმა ცოლმა სერიოზულად მიიღო ეს ამბავი. ხანდახან, რადამზე სის რეზიდენციაში ლიტერატურულ სადა ამოებს მართავდა და მხატვრული კითხვის თავის ლექსებს აკითხებდა. სენატორი ენრი ჩინიბისიც, რომელ საც თავი პოეტად მოჰქონდა, მონანილეობდა ხოლმე ამ ბიძვაში, რითაც თავის

ნერია, საკუთარი სახელის დაწერაც კი არ
შეგიძლია უშეცდომოდ, გამყიდველმა
გალისიერმა, ხოსე აღმონამ დაწერა და
მე გადავუხადე. არ იცი, ხალხი რას ამ-
ბობს? ამბობენ, რომ „ყალბი მეგობრობის“
ტექსტში ხუან აღმონამს სახელია დაშ-
იფრული“. კიდევ ერთხელ გაიცინა, გულ-
წრფელად, მხიარულად. ნაღველი გან-
დევნა. მარიას ტირილი წასცდა: „როგორ
მამცირებ!“ დაემუქრა, რომ დედა ხული-
ასთან უსაყვედურებდა. თითქოს მის სა-
ბრალო, ოთხმოცდათექვსმეტი წლის დე-
დას ოჯახური ხლართების თავი ჰქონდა.
მარია, მისი ძმებივით ყოველთვის კეთილ-
შობილ დედა ხულიასთან გარბოდა გულის
მოსაოხებლად. მარიას შემოსარიგებლად
ტრუხილიო იძულებული გახდა, ხელდამშ-
ვენებული გაეშვა. მართალი იყო, რასაც
დომინიკელები ჩურჩულით ამბობდნენ, რომ
მწერალსა და მორალისტს ქეციანი
და ყოყლორინა გული ჰქონდა. ასეთი იყო
მაშინაც, საყვარლები რომ იყვნენ. ჯერ
კიდევ ახალგაზრდას აზრად მოუვიდა
დომინიკის რესპუბლიკის ეროვნული
პოლიციის უნიფორმებისთვის სამრეცხ-
აო გაეხსნა. მაშინ გადადგა თავისი პირვე-
ლი ნაბიჯი. ველოსიპედის ტრიალმა სხ-
ეული გაუხურა. იგრძნო, რომ ფორმაში
იყო. თხუთმეტი წუთი საკარისია. კიდევ
თხუთმეტ წუთს ქელზე ივარჯიშებს, ვიდრე
დღის ბრძოლაში ჩაბებება.

ძელი გვერდით ოთახში იდგა. იქაურობა სავარჯიშო ტექნიკით იყო გაჭედილი. ვარჯიში დაწყო, მოულოდნელად ცხენის ჭიხვინმა დაარღვია გამთების სიჩრდე: გრძელი, მუსიკალური ხმა იყო, როგორც სიცოცხლის ყიფინი. რამდენი ხანია ცხენზე აღარ შემჯდარა? თვეებია. ადრე არასოდეს ბეზრდებოდა, ორმოცდათი წლის შემდეგაც ისეთ სიხარულს ანიჭებდა, როგორც ესპანური კონიაკის — „კარლ I“-ის პირველი ყლუპი, როგორც სანატრელი მდედრის თეთრი, მკერიეი სხეულის პირველი თვალის შევლება. მოგონება ისევ გაჩინიკული გოგოს სახემ მოუნამდა, იმ ბოზიშვილმა ლოგინში რომ მოუთრია. ნეტავ, იცოდა, როგორი შეურაცხყოფის გადატანა მოუწევდა? მანუელ ალფონსოს საამისოდ გამჩედაობა არ ეყოფოდა. იქნებ მოუყვა კიდეც გოგონამ ყველაფერი და მან გემრიელად გადაიხარხა? ჭორიკნებს შორის ხმა სწრაფად ვრცელდება, სულ მალე ეს ამბავი კაფე „ელ კონდეს“ მოედება. სირცხვილისა და ბრაზისგან აკანკალდა, მკლავებს მწყობრად ამოძრავებდა. ოფლმა დაასხა. ახლა რომ ხედავდნენ! კიდევ ერთი ლეგენდა, რომელიც მის შესახებ გავრცელდა, ის იყო, რომ „ტრუხილიო არასოდეს იფლიანდება. ზაფხულის თაკარა მზეში მაუდის მუნდირი, ხავერდის ჟილეტი და ხელთათმანები აცვია, მაგრამ შუბლზე ერთ წვეთ იფლს ვერ შენიშნავ“. თუ არ უნდოდა, არ იფლიანდებოდა. მხოლოდ მარტოობისას, ვარჯიშის დროს აძლევდა საკუთარ სხეულს უფლებას, რომ მოშევულიყო. რთული დრო დაუდგა, პრობლემებით დატვირთულს ცხენის ჭენების საამოვნება მოაკლდა. აბა, ამ კვირას შაინც თუ ძოახებებს კაობას სახლში წასვლას. ცხენს შეკაზმავდა, მდინარის პირას, ხეების ჩრდილში მარტო გაინავარდებდა და თავს გაიახალგაზრდავებდა. „მდედრის მელავებიც კი არ არის ისეთი მხურვალე, როგორც ბეჭაურის ქედი“.

მარცხენა მკლავი რომ აუძაგაგდა, ვარჯიში შეწყვიტა. სახე შეიმშრალა და უბის გასწვრივ შარვალს დახედა. არა-ფერო. ჯერ კიდევ ბნელობა. რადამესის რეზიდენციის ხეები და ბუქჩები შავი ლაქებივით მოჩანდა გაკრიალებული ცის ქვეშ, რომელზეც ვარკვლავები ციმციმებდნენ. როგორ არის პაბლო ნერუდას ლექსი, მორალისტი ქალის თუთიყუშ მეგობრებს რომ მოსწონთ? „შორს ცისფერი, ზეციური სხეულები ციმციმებენ“. საბრალო ბებრუხანები იმაზე ოცნებობდნენ, რომ მაგან პოეტს მათვის ქეცი მოეფხნა და გვერდით მხოლოდ ფრანკენშტეინჩირინოსი ჰყავდათ. კიდევ ერთხელ წასკადა გულიანი სიცილი, რაც ასე იშვიათად ემართებოდა ბოლო დროს.

შიშველ ტანზე ხალათი მოიცვა,
ფლოსტებში ფეხები გაუყარა და გასაპა-
რსად გაეშურა. რადიო ჩართო. „დომინი-
კის სმა“ და „კარიბის რადიო“. წლების წინ

მარიო ვარგას ლიონა

კაცის ნაზიმი

ფრაგმენტი რომანიდან



ზუსტად ოთხი საათი იყო. ტუმბოზ
შემოდგმული ლაპათა აანთო, ფლოსტები
ფეხი წაყო და მძიმედ წამოდგა. ძვლები
ტეხდა, ზურგისა და ფეხის კუნთები
სტკიოდა, როგორც რამდენიმე დღის წილი
კაობას სახლში², იმ საძაგლელ გოგოსთა
გატარებულ წყეულ ლამეს. უსიამოვნები
სგან კბილები დააღრმავალა. სავარ
ძლისკენ გაეშურა, სადაც სინფორმულ
სავარჯიშო ტანსაცმელი და სპორტულ
ფეხსაცმელი დაედო. მოულოდნელა
ეჭვმდე შეაყოვნა. შემფოთებულმა ზენარ
დახედა — უფორმო მონაცრისფრო ლაგ
ზენტრის სითეთრეს ბლალავდა. ისევ და
მართა! შეურაცხყოფის განცდამ კაობა
სახლის მნარე მოგონება გააფერმერთ
ლა. ჯანდაბა! ჯანდაბა! ეს არ იყო მტერ
რომელიც შეეძლო დაემარცხებინ
როგორც ასობით და ათასობით დაუ
მარცხებია ნლების განმავლობაში მოსა
იდვით, შევიწროებით, განადგურებით
მასში ცხოვრობდა, ხორცი ხორცთაგა
და სისხლი სისხლთაგანი იყო. სწორე
მაშინ ანგრევდა, როცა ძალა და ჯან
რთელობა ისე სჭირდებოდა, როგორ
არასოდეს. გაჩხინიკულმა გოგონამ უბი
ფრიგა მოიტანა.

ლიტერატურული განვითარების მუნიციპალიტეტი

საინფორმაციო გამოშვება დილის ხუთ
საათზე იწყებოდა, მაგრამ, როდესაც მის-
მა ძმამ, პეტანმა, „დომინიკის ხმის“ მეპა-
ტრონებმ, შეიტყო, რომ უფროსი ოთხ
საათზე იღვიძებდა, გადაცემა ერთი
საათით გადასწინა. სხვა საინფორმაციო
საშუალებებმაც მიბაძეს. იცოდნენ, რომ
სანამ უფროს იპარსავდა, იბანდა და იც-
ვამდა, რადიოს უსმენდა ხოლმე და მონ-
დომებას არ აკლებდნენ.

„დომინიკის ხმაშ“ საღამოს რესტორან „ელ კონდეში“ დაგევმილი საცეკვაო საღამოს შესახებ გამოაცხადა, „ლოს კოლოსოს დე რიტომ“ ცრიფესორ გატონისა და მომღერალ ჯონი ვენტურას მონანილეობით გაიმართებოდა, შემდეგ ხულია მოლინას, ტრუხილიოს დედის მიერ ყველაზე მრავალშვილიანი დედისათვის პრემიის გადაცემის შესახებ ამცნო მსმენელს. გამარჯვებულმა, დონია ალექსანდრინა ფრანცისკომ, ოცდაერთი ცოცხალი შვილის მშობელმა, მის პრეზიდენტა დედის გამოსახულებიანი მედლის გადაცემისას გამოაცხადა, — ჩემი ოცდაერთი შვილის სიცოცხლეს არ დავიშურებ, თუ ქველმოქმედი ინებებსო. „არ მჯერა შენი, ვიგინდარავ!“

კინლებში გაიხეხა და გაპარსვას ისეთი გულმონდგინებით შეუდგა, როგორც ყოველთვის აკეთებდა ხოლმე იმ დროიდან, ჯიბეგაფხევილი ყმანვილი რომ იყო სან კრისტობალში. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, მის საბრალო დედას, ახლა მთელი ქვეყანა დედის დღეს რომ პატივს მიაგებს („მოწყალე ქველმოქმედი და ჩვენი სახელოვანი ხელისუფალის მშობელი“ — თქვა რადიონამყვანმა), ლობიო და ბრინჯითუ ექნებოდა რვა პირლია შვილის დასაპურებლად. სისუფთავე, სხეულის მოვლა და ტანისამოსი ერთადერთი რელიგია იყო, რომელსაც ტრუზილიონ მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერად აღას-რულებდა.

დედის დღის აღსანიშნავად, დედა ხულას სახლში მისული სტუმრების გრძელი სიის შემდეგ (საბრალო მოხუცი, მოთმინებით რომ იტანს კოლეჯების, ინტიტუტების, სინდიკატების დაუსრულებელ ქარავანს და სუსტი ხმით მადლობას უზღის ქათინაურებისა და ყვავილებისთვის), რადიონამყვანი მისდგა ეპისკოპოსებს — რეილისა და პანალს, რომლებიც „ჩვენი მზის ქვეშ არ დაბადებულან და ჩვენი მთვარის ქვეშ არ დატანჯულან“ („მშვენივრად თქვა“, გაფიქრა), „ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეჩრებიან და სამართალს ფეხქვეშ თელავენ“. ჯონი აბესს სურდა, სანტო დომინგოს კოლეჯში შეჭრილიყო და იანკი ეპისკოპოსი თავშესაფრიდან გამოეთრია. „რა მოხდება, უფროსო? გრინგოები გააპროტექტებენ, ცხადია. ყველაფერს არ აპროტესტებენ ამ ბოლო დროს? გალინდესის გამო, მფრინავი მერფის გამო, ტეტანურზე თავდასხმის ამორ თა კორა ათასი რამის ამორ რა

თა გამო და კიდევ ათასი თოთი გამო. თა მნიშვნელობა აქვს, როგორ ყეფვე კარაკასში, პუერტო-რიკოში, ვაშინგტონში, ნიუ-ორქსა და ჰავანაში? მნიშვნელოვანი ისაა, რაც აქ ხდება. ანაფორიანები თუ შეშინდებიან, შეთქმულებას ვედარ გაბედავენ“. არა. ჯერ არ დამდგარა დრო, რეილის, ესპანელ ეპისკოპოს პანალსა და სხვა ბოზიშვილებს ანგარიში რომ გაუსწორონ. ტრუხილიოს შინაგანი ხმა არ ატყუებს. ჯერჯერობით ეპისკოპოსებს თმის დერი არ უნდა ჩამოუვარდეთ, თუნდაც გააგრძელონ ჩვენთვის ძირის გამოთხრა ისე, როგორც 1960 წლის 25 დეკემბერს გააკეთეს — უკვე წელიწადნახევარი გასულა! — როდესაც ეპისკოპოსის ეპისტოლე ყველა წირვაზე წაიკითხეს და რეჟიმის წინააღმდეგ კათოლიკური ეკლესიის ბრძოლა გამოაცხადეს. წყეულები! ყორნები! ცვედანები! ეს გაუკეთეს იმ ადამიანს, რომელიც პაპმა პირ XII-მ ვატიკანში წმინდა გრიგორის ორდენით დაჯილდოვა. რადიოში პანო პიჩირდომ ის სიტყვა გაიხსენა, შინაგან საქმეთა და რელიგიურ კულტთა მინისტრად დანიშვნის წინ რომ წარმოთქვა: „სახელმწიფო სამოც მილიონ ჰესტას ხარჯავს იმ ეკლესიაზე, რომლის ეპისკოპოსები და ღვთისმშასხურები ახლა ასე აზარალებენ დომინიკის რესპუბლიკის კათოლიკურ მრევლს“. სხვა არსზე გადართო. რადიო „კარიბეში“ მუშების საპროტესტო

ივლო. ცხელი და ცივი წყლის სხვაობამ გაამხნევა. ახლა კი მართლაც ყოჩადად იყო. სანამ დეზოდორანტს ისხამდა და ტალკს იყრიდა, კარიბის რადიოს მიაყურადა, რომელიც „წყეული გონების“ (როგორც ჯონი აქესს ეძახდა ხოლმე, როცა კარგ გუნებაზე იყო) იდეებსა და ლოზუნგებს გადმოსცემდა.

ამჯერად „მირაფლორესის ვირთხას“, „ვენესუელელ წიდას“ უსწორდებოდნენ, წამყვანი, რომელსაც ისეთი ხმა დაეყენებინა, როგორითაც პედერასტებზე ლაპარაკობენ, ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტმა რომულო ბეტანკურმა ვენესუელი ხალხი არა მთოლოდ დაამშია, არამედ უბედურებაც მოუტანა. განა ახლა ახლა ან აფეთქდა ვენესუელის აეროპოსტალის თვითმფრინავი, სადაც სამოცდაორი ადამიანი დაიღუპა? ეს პედერასტი თავისას ვერ გაიტანს. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისგან დომინიკელებისათვის სანქციების დაწესებას მიაღწია, მაგრამ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის! ვერც მირაფლორესის სასახლის ვირთხა, ვერც პუერტო-რიკოელი ნაკუმანი მუნიციპატიანი⁸, ვერც პისტოლეტიანი ფიგერესი⁹ ვერ შეაშინებს. ეკლესია — სხვა ამბავეა. ქლაჟ ტრუხილითდან ესპანეთში გამგზავრებამდე პერონმა გააფრთხილა: „მღვდელებთან იყავი ფრთხილად, გენერალისიმუსო. არც იღებარქების ჯოგს და არც სამხედროებს არ დაუუმარცხებივარ, ანაფორიანებმა დამდეს ბეჭებზე. ან შეეკარი, ან ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუდე“. მას ვერ დაანარცხებენ, მაგრამ სისხლს უშრობენ. 1960 წლის 25 იანვრიდან დღე არ გასულა, რომ არ გაემწარებინათ: წერილები, ეპისტოლები, საეკლესიო მსახურება, ქადაგება... ყველაფერი, რასაც ანაფორიანები მის წინააღმდეგ ამბობდნენ და აკეთებდნენ, საზღვარგარეთს აღაშფოთებდა, გაზეთები, რადიო, ტელევიზია — ტრუხილიოს გარდაუფალ დაცემაზე საუბრობდა ახლა, როდესაც მას „ეკლესიამ ზურგი შეაწინა“.

ფრთხილად იძოქედის.
მაგრამ, რასაც გონება კარნახობდა, მის სასქესო ჯირკვლებზე არ მოქმედებდა. ბრაზით დაბრმავებულმა ჩაცმა შეწყვიტა. რისხვა სხეულის ყველა უჯრედს მოედო, ამოხეთქილი ლავა გონებას მისწვდა და მის გახეთქვას ლამობდა.



რამთისმა და რადამესმა მაყურებელის
ყველაზე მქუჩარე ოვაციები დაიმსახ-
ურეს". კიდევ ერთი ტყუილი — დომინი-
კელებისა და უფროსის გულის მოსაგებად.
კუჭის თავთან სიმჟავე იგრძნო, როგორც
ყოველთვის, საკუთარ შვილებზე რომ
ფიქრობდა: წარმატებული ხელმოცა-
რულები, ოცნებებსგან დაცლილები!
პარიზში პოლოს თამაშობენ და ფრანგ
ქალებს ჟიმავენ მაშინ, როცა მათი მამა
გადარჩენისათვის სამკვდრო-სასიცოცხ-
ლო ბრძოლაშია ჩართული.

სახეზე წყალი შეისხა. სისხლი უძმარდებოდა, საკუთარ შვილებზე რომ ფიქრობდა. ღმერთო ჩემო, ბარალი არ მიუძღვის. მისი ჯიში სუფთა იყო, ნამდვილი ულაყის წმინდა ჯიშის თესლი ჰქონდა. აგერ არიან ამის დასტური — სხვა ქალებთან ჩასახული შვილები. რაღა შორს წავიდეს, ლინა ლოვატონის გაჩერილები: ჩაფსკვინილები, ენერგიულები, ათასჯერ უფრო იმსახურებები მისი მუქთახორა, უქნარა შვილების ადგილს, ოპერის მომღერლების სახელები რომ ჰქვიათ. რატომ დათანხმდა ღრმად პატივცემულ ქალბატონს, რომ საკუთარი შვილებისთვის „აიდას“ — იმ ოპერის პერსონაჟების სახელები დაერქმია, უკეთურ დროს, ნიუ-იორკუში რომ მოისმინა? უილბლობის მეტი არაფერი მოუტანია: ნამდვილი, მეცრდანჯგვლიანი მამაკაცების ნაცვლად ოპერის მასხარებად იქცნენ. ბოჰემურები, მფლანგველები, ხასიათისა და ამბიციების გარეშე მხოლოდ დროსტარებისთვის ვარგიან. ტრუხილიოს ძმებს დაემსგავანენ და არა მას. ისეთივე მცონარები არიან, როგორც ნეგრო, პეტანი, პიპი, ანიბალი — ხულიგნების ხროვა, მუქთამჭამელები, უმატენისები და უბადრუკი დემონები, აი, ვინ არიან მისი ძმები. არც ერთს მისი ენერგიის, შემართებისა და ხელვის მისხალიც არ გამოჰყევა. რა ელის ამ ქვეყანას, ის რომ ალარ იქნება? დარწმუ-

მოყვარე იყო და ცნობილი მდედრები შეყვადა გაუიმული, ფრანგი დანიელ დარიედან⁶ მოყოლებული, მულტიმილ-იონერ პარბარა ხატონის⁷ ჩათვლით. თანაც ისე, რომ ერთი თაგულიც არ უჩუ-ქნია მათთვის, მეტიც, იქთ ატყავებდა და მათ ხარჯზე მდიდრდებოდა.

აბაზანაში მარილი ჩაყარა და ისეთი დიდი კმაყოფილებით ჩანვა, როგორც ყოველ დილით. პორფირიონ კარგი ცხ-ლოვრების მოტრფიალე იყო. მისი ქორწინე-ჭა პარბარა ხატონთან ერთი თვე გაგრ-ქელდა — ეს კი საკმარისი დრო იყო საი-ძისოდ, ერთი მილიონი რომ ქეშად წაერთ-მია და მეორე — უძრავი ქონების სახით. რამფისი და რადამესი ისეთები მანც ყო-ვილიყვნენ, როგორიც პორტირიო! ეს კოცხალი ფალოსი პატივმოყვარეობას იფრევევდა. და როგორც ყველა წარმატე-ბულს, მტრებიც ჰყავდა. მის შესახებ ჭორები არ ცხრებოდა, ურჩევდნენ, რუ-ბიროსა დიპლომატიური სამსახურიდან ამოქმედობინა, რადგან მისი სკანდალე-ბი ქვეყნის სახელს ბლაბლავდა. შურიანე-ბი. დომინიკის რესპუბლიკას რა მა უნდა მოუტანოს უკეთესი სახელი, თუ არა ასეთ-მა ყვერებმა? იმ დროიდან, რაც ფლორ დე-ოროზე დაქორწინდა, არწმუნებდნენ, თავი წაეგლიჯა მულატი მოზვერისთვის, მისი ქალიშვილი რომ მოხიბდა და შეაც-ტინა. ამას არ იზამს. ტრუხილიო კარგად ცნობს მოღალატებს, ყნოსვით გრძნობს მანამდე, ვიდრე გაყიდიან. სწორედ ამიტ-ომაც არის რუბიროსა ცოცხალი და ამ-დენი იუდა კი ლა კუარენტასა და ლა ვიქ-ტორიაში ლპება. ზოგიერთები — ბეატას კუნძულზე, ზვიგენბის სტომაქში არიან და ზოგი — დომინიკელთა მიწის ჭიებს სუქებენ. საბრალო რამფის, საბრალო რადამესს. კიდევ კარგი, ანხელიტას მაინც აქვს მტკიცე ხასიათი და მის გვერდით არის.

